

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023-2027 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა

მომზადებულია „ნარჩენების მართვის 2016 – 2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2016 – 2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის №160 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2022 წლის 9 აგვისტოს N414 დადგენილების საფუძველზე. „მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა“ მომზადებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის Nზ36.362234212 (08.12.2022 წელი) ბრძანების საფუძველზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ.

სარჩევი

ნაწილი 1 - რეზიუმე

- 1.1 დაგეგმვის საფუძველი
- 1.2 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მიზანი
- 1.3 გეგმის განახლების პროცესი
- 1.4 არსებული მდგომარეობის მიმოხილვა
- 1.5 ნარჩენების შეგროვების ალტერნატივების მიმოხილვა
- 1.6 შედეგების და რეკომენდაციების მიმოხილვა
- 1.7 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შესრულებაზე ანგარიშვალდებული ორგანიზაცია

ნაწილი 2 - შესავალი და არსებული მდგომარეობა

- 2.1 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მარეგულირებელი და საკანონმდებლო საფუძვლები
- 2.2 მუნიციპალიტეტის აღწერა და დემოგრაფიული მონაცემები
- 2.3 გეგმის ამოცანები და მიზნობრივი შედეგები
- 2.4 დაგეგმვის პროცესის აღწერა:

ნაწილი 3 - მუნიციპალური ნარჩენების დახასიათება

- 3.1 ნარჩენების რაოდენობა
- 3.2 ნარჩენების პროგნოზირება
- 3.3 ნარჩენების შემადგენლობის ანალიზი

ნაწილი 4 - არსებული მუნიციპალური ნარჩენების სისტემის მიმოხილვა

- 4.1 შესავალი

- 4.2 არსებული მუნიციპალური მომსახურების აღწერა
- 4.3 შეგროვების და ტრანსპორტირების მომსახურება:
 - ა. ინსტიტუციური ჩარჩო
 - ბ. შეგროვების და ტრანსპორტირების საშუალებები და საოპერაციო პროცესები
 - გ. შეგროვების მომსახურების დაფარვის არეალი
- 4.4 ქუჩების დასუფთავება
- 4.5 ნარჩენების განთავსების არსებული ობიექტები
 - ა. ოფიციალური ნაგავსაყრელი პოლიგონები
 - ბ. ნარჩენების განთავსების არაოფიციალური ადგილების ინვენტარიზაცია
- 4.6 აღდგენა (რეციკლირება და კომპოსტირება):
 - ა. ბაზრები და ბაზრების ჯაჭვების მდგომარეობა
 - ბ. არაფორმალური სექტორის საქმიანობა
- 4.7 ხარჯები და ხარჯების ანაზღაურება:
 - ა. არსებული პროგრამის ხარჯები
 - ბ. არსებული ტარიფები და ხარჯების ფაქტობრივი ანაზღაურება/მოსაკრებლის ამოღებასთან დაკავშირებული გამოცდილება.
- 4.8 ხარჯების ამოღების სფეროში არსებული გამოწვევები.

ნაწილი 5 - ნარჩენების ინდუსტრიაში არსებული საუკეთესო პრაქტიკა და ტენდენციები

- 5.1 შეგროვება და ტრანსპორტირება
- 5.2 აღდგენის პროცესები
- 5.3 საზოგადოების განათლება და საზოგადოებასთან ურთიერთობა

ნაწილი 6 - ნარჩენების მართვის მომავალი ვარიანტების ანალიზი

- 6.1 შეგროვება და ტრანსპორტირება
- 6.2 ნარჩენების განთავსება
- 6.3 აღდგენა:
 - ა. რეციკლირება
 - ბ. კომპოსტირება
 - გ. წყაროსთან სეპარაცია

6.4 ინსტიტუციური მოსაზრებები

6.5 სისტემის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება

ნაწილი 7 - შედეგები და რეკომენდაციები

7.1 ინფრასტრუქტურისა და ტექნიკის საჭიროებები

7.2 ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება

7.3 აღდგენის პროგრამების განხორციელების პროცედურები

7.4 საზოგადოებრივი განათლების პროგრამა

ნაწილი 8 - სამოქმედო გეგმა და განხორციელების ვადები

გამოყენებული აკრონიმები და აბრევიატურები

გდსმს - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

რგის - რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;

მნმკ - შ.პ.ს. „მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“

ნმეს - ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია;

ნმესგ - ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმა;

მგვ - მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება;

გეს - გარემოს ეროვნული სააგენტო;

ტერმინთა განმარტება

ნარჩენი - ნებისმიერი ნივთიერება ან ნივთი, რომელსაც მფლობელი იშორებს, განზრახული აქვს მოიშოროს ან ვალდებულია მოიშოროს;

საყოფაცხოვრებო ნარჩენები - საოჯახო მეურნეობის მიერ წარმოქნილი ნარჩენები;

მუნიციპალური ნარჩენები - საყოფაცხოვრებო ნარჩენები, აგრეთვე სხვა ნარჩენები, რომლებიც თავიანთი მახასიათებლებითა და შემადგენლობით საყოფაცხოვრებო ნარჩენების მსგავსია;

ინერტული ნარჩენები - ნარჩენების, რომლებიცარ განიცდის მნიშვნელოვან ფიზიკურ, ქიმიურ ან ბიოლოგიურ ცვლილებებს - არ იხრსნება, არ იწვის და არ შედის სხვაგვარ ქიმიურ ან ფიზიკურ რეაქციაში, არ განიცდის ბიოდეგრადაციას და სხვა მასალაზე არ ახდენს ისეთ გავლენას, რომელიც გამოიწვევს გარემოს დაბინძურებას ან ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებას;

ბიოდეგრადირებადი ნარჩენები - ნარჩენების, რომლებიც ექვემდებარება ანაერობულ ან აერობულ დაშლას, მათ შორის, სურსათის/ცხოველის საკვების ნარჩენები, ბადის/პარკის ნარჩენები, ქაღალდი, მუყაო;

სახიფათო ნარჩენები - ნარჩენები, რომლებიც სახიფათო ან პოტენციურად მავნეა ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან გარემოსათვის (საქართველოს კანონის “ნარჩენების მართვის კოდექსი” III დანართით გათვალისწინებული ერთი ან მეტი მახასიათებელი);

სამედიცინო ნარჩენები - სამედიცინო დაწესებულების, სამედიცინო ლაბორატორიების, სამედიცინო კვლევითი ცენტრების, მზრუნველობის დაწესებულებების, ვეტერინარული კლინიკების, ფარმაცევტული საწარმოებისა და საწყობების მიერ წარმოქმნილი ნარჩენები;

ცხოველური ნარჩენები - ცხოველის სხეული ან მისი სხეულის ნაწილი, ცხოველური წარმოშობის პროდუქტი ან ცხოველისაგან მიღებული სხვა პროდუქტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ადამიანის მიერ მოხმარებისათვის;

პრევენცია - ნივთიერების, მასალის ან პროდუქტის ნარჩენად გადაქცევამდე მიღებული ზომები, რაც ამცირებს:

ა) ნარჩენების რაოდენობას, (მაგალითად, პროდუქტის ხელახალი გამოყენების გზით ან პროდუქტის ვარგისიანობის ვადის გაგრძელების გზით);

ბ) წარმოქმნილი ნარჩენების უარყოფით გავლენას გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე;

გ) მასალებსა და პროდუქტში მავნე ნივთიერებების შემცველობას.

ხელახალი გამოყენება - პროდუქტის ან/და მისი კომპონენტების ხელახლა გამოყენება ნარჩენად გადაქცევამდე, მათი თავდაპირველი დანიშნულებით.

აღდგენა - საქმიანობა, რომლის ძირითადი შედეგია ნარჩენების გამოყენება სასარგებლო მიზნებისათვის, იმ მასალების ჩანაცვლების გზით, რომლებიც სხვა პირობებში რაიმე ფუნქციის შესასრულებლად იქნებოდა გამოყენებული. აღდგენა მოიცავს ენერჯის აღდგენას და რეციკლირებას. (აღდგენის ოპერაციების სია მოცემულია საქართველოს კანონის “ნარჩენების მართვის კოდექსი” პირველ დანართში).

რეციკლირება - აღდგენითი ღონისძიება, რომლის საშუალებითაც ნარჩენები გარდაიქმნება პროდუქტად, მასალად ან ნივთიერებად, რომლებიც განკუთვნილია თავდაპირველი ან სხვამიზნით გამოყენებისთვის. რეციკლირება მოიცავს ორგანული მასალების გადამუშავებას, მაგრამ არ მოიცავს ენერჯის აღდგენას და ისეთ მასალებად გარდაქმნას, რომლებიც გამოიყენება საწვავად ან ამოვსების ოპერაციებისთვის.

რეციკლირებადი მასალები - გავრცელებული რეციკლირებადი მასალებია მინა, ქაღალდი, მუყაო, მეტალი, პლასტიკი, ქსოვილი, საკვების ნარჩენები, ბალის ნარჩენები და ელექტრონული მოწყობილობები.

ნარჩენების შეგროვება -ნარჩენების შეგროვება, რაც ასევე მოიცავს მათ წინასწარ დახარისხებას და წინასწარ დასაწყობებას ნარჩენების დამუშავების ობიექტზე გადატანის მიზნით.

სეპარირებული შეგროვება - ნარჩენების შეგროვება, რომლის დროსაც ნარჩენების ნაკადები განცალკევებულია სახეობების და თვისებების მიხედვით, მათი შემდგომი დამუშავების ხელშეწყობის მიზნით.

ნარჩენების ტრანსპორტირება - ნარჩენების გადატანა ნარჩენების შენახვის ან/და დამუშავების ობიექტზე;

ნარჩენების გადამტვირთი სადგური - ობიექტი, სადაც ხორციელდება ნარჩენების გადატვირთვა ნარჩენების დამუშავების ობიექტზე შემდგომი ტრანსპორტირების მიზნით.

სანიტარიული ნაგავსაყრელი - მუნიციპალური ნარჩენების კონტროლირებადიგანთავსება მიწაში, რომელიც გამორიცხავს ნებისმიერ პოტენციურ ნეგატიურ ემისიებს ზედაპირულ წყლებში, მიწისქვეშა წყლებში, ნიადაგში ან ჰაერში.

დანაგვიანება - ნარჩენების გარემოში დაყრა, გადაგდება და/ან მიტოვება, გარდა ამ მიზნისთვის გამოყოფილი კონტეინერებისა და შეგროვების ობიექტებისა.

შეგროვების სისტემა - ნარჩენების შეგროვების სისტემის სხვადასხვა მახასიათებლები, მათ შორის კონტეინერების ტიპი და განლაგება, ნარჩენების შემგროვებელი ტიპი და მარშრუტები, შემგროვებელი ტექნიკის შეკეთება და პრევენციის ღონისძიებები, ასევე შეგროვების სისტემასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა;

საერთო სარგებლობის კონტეინერები - მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისათვის განკუთვნილი კონტეინერები, რომლებიც განლაგებულია ქუჩებში მოსახლეობის საერთო სარგებლობისათვის ან/და რამდენიმე ოჯახის საერთო სარგებლობისათვის;

საექსპლუატაციო პერიოდი - დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც სატრანსპორტო საშუალება განიცდის ცვეთას;

ნაგავსაყრელის ოპერატორი - ნაგავსაყრელის მართვაზე პასუხისმგებელი ფიზიკური ან იურიდიული პირი;

სეპარირებული შეგროვება - ნარჩენების შეგროვება, რომლის დროსაც ნარჩენების ნაკადები განცალკევებულია სახეობების და თვისებების მიხედვით, მათი შემდგომი დამუშავების ხელშეწყობის მიზნით.

ნარჩენების ტრანსპორტირება - ნარჩენების გადატანა ნარჩენების შენახვის ან/და დამუშავების ობიექტზე;

ნარჩენების გადამტვირთი სადგური - ობიექტი, სადაც ხორციელდება ნარჩენების გადატვირთვა ნარჩენების დამუშავების ობიექტზე შემდგომი ტრანსპორტირების მიზნით.

ნარჩენების შემგროვებელი - პირი, რომელიც პასუხისმგებელია ნარჩენების შეგროვებაზე, მათ შორის წინასწარ დახარისხებასა და წინასწარ შენახვაზე ნარჩენების გადამტვირთავ სადგურამდე ან დამუშავების ობიექტამდე ტრანსპორტირების მიზნით.

ნარჩენის წარმოქმნელი - პირი, რომლის საქმიანობის შედეგად წარმოიქმნება ნარჩენები, ან პირი, რომელიც ანხორციელებს წინასწარ დამუშავებას, შერევას ან სხვა საქმიანობას, რის შედეგადაც ამ ნარჩენების თვისებები ან შემადგენლობა იცვლება;

ნარჩენების დინება - ნარჩენები ტიპების მიხედვით;

ნარჩენების მართვა - ნარჩენების შეგროვება, ტრანსპორტირება, აღდგენა და განთავსება, ასევე ამ ღონისძიებების ზედამხედველობა და განთავსების ადგილის შემდგომი მოვლა;

ნარჩენების განთავსება - დინებებისა და კლასების მიხედვით სხვადასხვა ნარჩენს სხვადასხვა განთავსების ადგილი გააჩნია მათი შემდგომი ჩამარხვის, გაუვნებლობის ან გამოყენების გზით. მისი ტექნოლოგიური გადამუშავების გარეშე.

ნარჩენების გაუვნებლობა და განთავსების ობიექტი - სპეციალურად მოწყობილი ადგილი, ნაგებობა ან სათავსო, რომელიც განკუთვნილია ნარჩენების გაუვნებლობის ან გამოყენების გზით. მისი ტექნოლოგიური გადამუშავების გარეშე.

ნარჩენების გაუვნებლობა - ნარჩენების სხვადასხვა ტექნოლოგიური დამუშავება (მათ შორის, ნარჩენების დაწვას სპეციალურ დანადგარებში) ადამიანის ჯამრთელობასა და გარემოზე მავნე ზეგავლენის თავიდან აცილების მიზნით;

ნარჩენების დახარისხება „დინების“ მიხედვით - როდესაც სხვადასხვა ტიპის ნარჩენები ცალ-ცალკე გროვდება და სხვადასხვა ადგილი გააჩნია.

ნარჩენების მდგრადი ინტეგრირებული მართვა - ეს არის სისტემა, რომელიც შესატყვისია იმ პირობებისთვის, რომელშიც ის ფუნქციონირებს ტექნიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, ფინანსურ, ინსტიტუციურ და გარემოსდაცვით პერსპექტივაში და რომელსაც შეუძლია შეინახოს თავისი თავი დროში საჭირო რესურსების შეუმცირებლად.

ინტეგრირებული - არის სისტემა, რომელიც გამოიყენებს ერთმანეთთან დაკავშირებულ შეგროვებისა და დამუშავების ვარიანტებს სხვადასხვა მასშტების დასახლებებში;

წყარო - ადგილი, სადაც წარმოიქმნება ნარჩენი;

სანიტარიული ნაგავსაყრელი - მუნიციპალური ნარჩენების კონტროლირებადი განთავსება მიწაში, რომელიც გამორიცხავს ნებისმიერ პოტენციურ ნეგატიურ ემისიებს ზედაპირულ წყლებში, მიწისქვეშა წყლებში, ნიადაგში ან ჰაერში.

მომსახურების დაფარვის ზონა - ნარჩენების შეგროვების მომსახურების მიწოდების ზონის გეოგრაფიული არეალი, ასევე ნარჩენების შეგროვების მომსახურების მიმღები მოსახლეობის ნაწილი (გამოსახული მთლიანი მოსახლეობის პროცენტული წილიდან);

ქუჩების დასუფთავების ნარჩენი - ქუჩისა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების დაგვისა და დასუფთავების, ასევე მუნიციპალიტეტის საწრეტი არხების დასუფთავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები.

ნაწილი 1 - რეზიუმე

1.1 დაგეგმვის საფუძველი

„მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი სამოქმედო გეგმა“ არის მუნიციპალიტეტის დაგეგმვის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ხუთწლიანი პროგრამის განხორციელების ძირითად მიმართულებებს, რომლითაც შესაძლებელი იქნება მუნიციპალური ნარჩენების მართვის ვალდებულებების შესრულება. ნარჩენების გადამუშავების შედეგად მუნიციპალიტეტი მიიღებს მნიშვნელოვან სოციალურ და ეკონომიკურ სარგებელს, რადგან როგორც სექტორის, ისე შესაბამისი ობიექტების მართვა, მოითხოვს დიდ ადამიანურ რესურსს.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, მუნიციპალური ნარჩენების მართვისა და ხარჯთეფექტიანი სისტემის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ნარჩენების პრევენციას და ხელახალი გამოყენების ზრდას, გარემოსათვის უსაფრთხო გზით ნარჩენების დამუშავებას, ისე რომ საფრთხე არ შეექმნას ადამიანის ჯანმრთელობას და გარემოს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ნარჩენები შეიძლება განხილული იქნას, როგორც პოტენციური ნედლეულისა და ენერჯის კარგვა. ნარჩენების გადამუშავებას მოაქვს მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური სარგებელი, რადგან როგორც სექტორის ადმინისტრირება, ისე შესაბამისი ობიექტების ოპერირება, მოითხოვს დიდ ადამიანურ რესურსს. გარდა ამისა, სუფთა საცხოვრებელი და დასასვენებელი გარემო, ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი სამოქმედო გეგმა“ (შემდგომში „სამოქმედო გეგმა“) შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს, „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის და „ნარჩენების მართვის 2016 – 2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2016 – 2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის №160 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2022 წლის 9 აგვისტოს N414 დადგენილების საფუძველზე. 2014 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი “ნარჩენების მართვის კოდექსი” (შემდგომში „კოდექსი“), რომლის თანახმადაც ადგილობრივმა თვითმმართველობებმა უნდა შეიმუშაონ მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმები. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა არის დოკუმენტი, რომელიც ადგენს ჩარჩოს, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტი განახორციელებს ნარჩენების მართვას და შეასრულებს იმ ვალდებულებებს, რაც მას ეკისრება ევროკავშირსა და საქართველოს შორის 2014 წელს გაფორმული ასოცირების ხელშეკრულებით, „კოდექსის“ დებულებებისა და საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად.

„სამოქმედო გეგმა“ შემუშავებულია ხუთწლიანი პერიოდისათვის, რომელიც მოიცავს 2023-2027 წლებს და იგი წარმოადგენს ცოცხალ დოკუმენტს, რომელიც შეიძლება განახლდეს ან/და განიცადოს კორექტირება. „სამოქმედო გეგმაში“ მოცემული ფინანსური გათვლები არის საპროგნოზო და დაზუსტდება კონკრეტული ღონისძიებების განსაზღვრის დროს.

1.2 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მიზანი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „სამოქმედო გეგმა“ ორიენტირებულია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, ნარჩენების მართვის ეროვნული პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობაზე, ნარჩენების მართვის ეროვნულ ინტეგრირებულ სისტემაში

მუნიციპალიტეტის როლის ოპტიმიზაციაზე. საქართველოს „ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგია და 2022-2026 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმით“ განსაზღვრულია სახელმწიფოს ხედვა - „*საქართველო ისწრაფვის გახდეს ნარჩენების პრევენციასა და რეციკლირებაზე ორიენტირებული ქვეყანა*“ - რისი მიღწევაც შესაძლებელია შემდეგი მოქმედებების შესრულებით:

- ნარჩენების პრევენციის, ხელახალი გამოყენების, რეციკლირებისა და აღდგენის ღონისძიებების გატარება;
- მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების უზრუნველყოფა;
- ნარჩენების წარმოქმნის წყაროსთან სეპარირების დანერგვა;
- ხარჯების სრული ამოღების დანერგვა;
- მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების დანერგვის ხელშეწყობა;
- სპეციფიკური ნარჩენების ნაკადებზე საჯარო-კერძო პარტნიორობის ჩამოსაყალიბებლად ინიციატივების განხორციელების ხელშეწყობა;
- განსაზღვრული მიზნების მისაღწევად წამახალისებელი მექანიზმების დანერგვა.

ნმეს - ით განსაზღვრული გამოწვევები და მისაღწევი მიზნები, მათი მნიშვნელობის მეტი თვალსაჩინოებისათვის, დაჯგუფებულია შემდეგ მიმართულებად:

1. კანონმდებლობა;
2. ნარჩენების მართვის დაგეგმვა;
3. ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება;
4. ნაგავსაყრელები;
5. პრევენცია, ხელახალი გამოყენება, რეციკლირება და აღდგენა;
6. ხარჯების ამოღება;
7. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება;
8. მონაცემები ნარჩენების შესახებ;
9. მართვის შესაძლებლობები;
10. სახიფათო ნარჩენების მართვა;
11. პლასტიკის ნარჩენების მართვა;
12. ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვა;
13. ინერტული, სამშენებლო და ნგრავის ნარჩენების მართვა.

1.3 გეგმის განახლების პროცესი

„სამოქმედო გეგმის“ განახლების პროცესში გამოყენებული იყო „ლოგიკური ჩარჩო - მიდგომა“, რომელიც ითვალისწინებს არსებული სიტუაციის შეფასებას და გამოწვევების იდენტიფიცირებას, ასევე, შესაბამისი მიზნებისა და პრობლემის გადაჭრის გზების განსაზღვრას.

თითოეული დასახული მიზნისათვის „სამოქმედო გეგმაში“ გაწერილია ამოცანები (შესრულების ვადების მითითებით). თითოეული ამოცანის მისაღწევად საჭიროა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც სამოქმედო გეგმის ძირითადი ნაწილია.

1.4 არსებული მდგომარეობის მიმოხილვა

დღეის მდგომარეობით, ნარჩენების მართვის სერვისის დაფარვის არეალი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას სრულად მოიცავს. სერვისის მიწოდება ხდება 30-ვე ადმინისტრაციულ ერთეულში, მათ შორის ქალაქ ოზურგეთის და ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიები დაფარულია სრულად, ხოლო დანარჩენ ტერიტორიებზე ნაწილობრივ შეზღუდულად.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის სისტემის ჩამოყალიბება დაიწყო 2015 წელს, ხოლო სერვისის დაფარვის არეალის გაფართოება განხორციელდა 2014 – 2023 წლებში:

- მუნიციპალიტეტმა 2014-2022 წლებში შეიძინა და ფონდების მეშვეობით მიიღო თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ნაგავშიდი ტექნიკა;
- შეძენილია და ფონდების მეშვეობით მიღებულია თანამედროვე სტანდარტების ნაგავშემკრები კონტეინერები;
- ფონდების მეშვეობით მიღებულია პლაჟის დასუფთავების თანამედროვე ტექნიკა;
- ასევე, განხორციელდა სხვადასხვა სახის დამხმარე ტექნიკის (ტრაქტორები, მსუბუქი ავტომობილი მონიტორინგისათვის და სხვა) შეძენა. რაც შეეხება ნარჩენების განთავსების პოლიგონებს, ამ მიმართულებითაც განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები:
- არსებული პოლიგონები მართვაში გადაეცა **რგის**-ის შ.პ.ს. „მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას“;
- განხორციელდა ერთი პოლიგონის დახურვის სამუშაოები, ხოლო მეორე პოლიგონის კეთილმოწყობა/გაუმჯობესების სამუშაოები;
- აშენდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გადამტვირთი სადგური დაბა ურეკში.

1.5. ნარჩენების შეგროვების ალტერნატივების მიმოხილვა

მუნიციპალური ნარჩენების მართვის სწორი დაგეგმვისათვის მიზანშეწონილია ნარჩენების შეგროვების ალტერნატიული ვარიანტების ანალიზი, რათა საბოლოო ჯამში განხორცილებული საქმიანობის შედეგად უზრუნველყოფილი იყოს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა.

შეგროვება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვების დამკვიდრებული მიდგომა არის საერთო სარგებლობის კონტეინერების მეშვეობით ნარჩენების შეგროვება - **კოლექტიური შეგროვება**.

თუმცა, რელიეფისა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით შესაძლებელია განხილული იქნას სხვა მიდგომებიც: **შეგროვება ტროტუარებიდან/გზისპირებიდან** - ამ შემთხვევაში ნარჩენების წარმომქმნელები ინდივიდუალურ კონტეინერებს ათავსებენ გზის მიმდებარედ, ხოლო შემგროვებელი ბრიგადის მიერ ნარჩენების ნაგავშიდში გადატვირთვის შემდეგ ისევ უკან მიაქვთ საკუთარი კონტეინერები; **უბან-უბან შეგროვება** - ამ შემთხვევაში ნაგავშიდი გადაადგილდება წინასწარ განსაზღვრული მარშრუტით და ინტერვალით, ჩერდება შერჩეულ ადგილებში და იძლევა სპეციალურ ნიშანს, რათა ნარჩენების წარმომქმნელებს აცნობოს შეგროვების ადგილზე მისვლა. ნარჩენების წარმომქმნელებს საკუთარი ნარჩენები მიაქვთ ნაგავშიდთან ან საკუთარი ძალებით, ან შემგროვებელი ბრიგადის მეშვეობით ათავსებენ ნარჩენებს ნაგავშიდზე. ამ დროს კონტეინერების გამოყენება არ ხდება.

ტრანსპორტირება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, არსებული ნარჩენების ტრანსპორტირება ხორციელდება უკანა ჩატვირთვის მქონე საპრესი მოწყობილობით აღჭურვილი ნაგავშიდების საშუალებით, ასევე ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე, კერძოდ პლაჟზე განთავსებული მცირე მოცულობის კონტეინერებიდან ნარჩენების შეგროვება ხდება საპრესი მოწყობილობისა და ავტომატური დაცლის მექანიზმის არმქონე მისაბმელიანი ტრაქტორების მეშვეობით.

ნარჩენების ტრანსპორტირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია განთავსების ობიექტის ადგილმდებარეობა და შეგროვების პუნქტებიდან განთავსების ადგილამდე მანძილი. თუკი მანძილი განთავსების საბოლოო ადგილებამდე საკმაოდ დიდია და შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვან დანახარჯებს, რენტაბელობის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია მიღებული იქნას გადაწყვეტილება გადამტვირთი საგდურის მშენებლობის შესახებ, რათა უზრუნველყოფილი იყოს დანახარჯების ოპტიმიზაცია.

სისტემის დაფინანსება - ხარჯების ამოღების უზრუნველყოფა

დღეისათვის არსებული სისტემის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაცემული სუბსიდია. თუმცა, პრინციპის „დამბინძურებელი იხდის“ უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რათა

ნარჩენების წარმომქმნელებმა გადახდილი მოსაკრებლის მეშვეობით უზრუნველყონ გაწეული ხარჯების ნაწილობრივი ან სრული დაფინანსება.

ხარჯების ამოღების მოდელის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში დანერგილი საუკეთესო პრაქტიკა, რადგან არ არსებობს განსაზღვრული მეთოდოლოგია რომელიც მისაღები იქნება ყველა მუნიციპალიტეტისათვის.

ნარჩენების შეგროვების სისტემის დაფინანსების წყარო, გარდა დასუფთავების მოსაკრებლისა, შეიძლება გახდეს კანონდამრღვევების მიერ გარემოს დანაგვიანებისათვის გადახდილი ჯარიმები და საურავები. ასევე, სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ გაცემული სესხები და გრანტები.

1.6 შედეგების და რეკომენდაციების მიმოხილვა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის არსებული სისტემის ანალიზმა აჩვენა, რომ აუცილებელია სისტემაში არსებული პრობლემური საკითხებისა და ხარვეზების იდენტიფიცირება, რათა დაიგეგმოს გაუმჯობესების ღონისძიებების განხორციელება. ძირითადი ასპექტები, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, შემდეგი სახისაა:

აუცილებელია არსებული სისტემის დაფარვის არეალის გაფართოების დაგეგმვა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, რათა მიღწეული იქნას *ნმესგ* ით განსაზღვრული მიზნები;

- შეგროვებული და ტრანსპორტირებული ნარჩენების სახეობებისა და მახასიათებლების შესახებ მონაცემთა აღრიცხვის მუდმივი განხორციელება. ამით უზრუნველყოფილი იქნება ნარჩენების წყაროსთან სეპარირების სისტემის დანერგვის დაგეგმვისათვის საინფორმაციო საფუძველი;
- შესაგროვებელი ნარჩენების მოცულობების წინასწარი განსაზღვრა. ეს პარამეტრი მნიშველოვან ზეგავლენას ახდენს ნაგავშემკრები კონტეინერებისა და ტრანსპორტირების პროცესში გამოსაყენებელი ტექნიკის განსაზღვრის დროს;
- აუცილებელია შემუშავდეს და დაინერგოს ნაგავშიდების მოძრაობის ოპტიმალური განრიგები და მარშუტები, რათა ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების პროცესი წარიმართოს მინიმალური დანახარჯებით;
- დასაბუთებული და სათანადო მეთოდოლოგიის საფუძველზე გაანგარიშებული დასუფთავების მოსაკრებლის ტარიფის განსაზღვრა, ხარჯების ამოღების სისტემის შემუშავება და დანერგვა, მოსაკრებლით მიღებული შემოსავლების გაზრდის მიზნით;
- მონიტორინგის განხორციელება მუნიციპალური და სამშენებლო ნარჩენების არამიზნობრივად განთავსებაზე და საჯარიმო მექანიზმების ამოქმედება.

1.7 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შესრულებაზე ანგარიშვალდებული ორგანიზაცია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა“ მოიცავს იმ ძირითად საქმიანობებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა“ და საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“-თ განსაზღვრული კომპეტენციების ფარგლებში.

აქედან გამომდინარე, „სამოქმედო გეგმის“ შესრულებაზე ანგარიშვალდებულ ორგანიზაციას წარმოადგენს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ოზურგეთის მუნიციპალური მომსახურების ცენტრი“.

ნაწილი 2 - შესავალი და არსებული მდგომარეობა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ბოლო წლების განმავლობაში, მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესების მიზნით ბევრი სასიკეთო ნაბიჯი გადაიდგა.

2015 წლიდან საქართველოში შეიქმნა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც მნიშვნელოვანი ბიძგი აღმოჩნდა ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე ნარჩენების მართვის პოლიტიკის გაუმჯობესების მიმართულებით.

2.1 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მარეგულირებელი და საკანონმდებლო საფუძვლები

საქართველოში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა რეგულირდება საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსით“, „ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიითა და 2022- 2026 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმით. საქართველოს კანონით „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“, განსაზღვრულია ნარჩენების მართვაზე მოსაკრებლის ზღვრული ოდენობა მოსახლეობის, იურიდიული პირის, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის.

ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საერთაშორისო კონვენციებია:

ბაზელის კონვენცია - სახიფათო ნარჩენების ტრანსასაზღვრო გადაზიდვისა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ (1989წ)

როტერდამის კონვენცია - ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებათა და პესტიციდების საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარი დასაბუთებული თანხმობის პროცედურების შესახებ (1998წ)

სტოკჰოლმის კონვენცია - მდგრადი ორგანული დაბინძურების შესახებ @006 წ)

გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია (1992წ)

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლით განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის საკუთარი (ექსკლუზიური) უფლებამოსილებები, რომლის მე-2 პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული

უფლებამოსილებებია „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება და მუნიციპალური ნარჩენების მართვა“. ასევე, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ბ.“ ქვეპუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას წარმოადგენს „საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება“.

2014 წლის 26 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა და 2015 წლის 15 იანვრიდან ძალაში შევიდა **საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“**. კოდექსი ეფუძნება საქართველო-ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოციირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული დირექტივებისა და რეგულაციების მოთხოვნებს, ასევე საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

კოდექსის მიზნად და ამოცანად განისაზღვრა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა:

- ნარჩენების წარმოქმნის და მათი უარყოფითი გავლენის პრევენციით ან შემცირებით;
- ნარჩენების მართვის ეფექტიანი მექანიზმების შექმნით;
- რესურსების მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირებით და რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენებით.

ნარჩენების მართვის კოდექსი არეგულირებს ნარჩენების წარმოქმნის პრევენციას და მათ ხელახალ გამოყენებას, ნარჩენების აღდგენის, რეციკლირების და უსაფრთხო განთავსების საკითხს. მათ შორის ისეთ საკვანძო საკითხებს, როგორც არის: მოთხოვნები ნარჩენების კლასიფიკაციის, აღრიცხვის და ანგარიშების, შეგროვების, ტრანსპორტირების და წინასწარი დამუშავების შესახებ. მუნიციპალური, სამედიცინო და სახიფათო ნარჩენების შესახებ. ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვის და შემდგომი მოვლის შესახებ; ინსინერაციის და თანაინსინერაციის შესახებ.

ნარჩენების მართვის კოდექსიდან გამომდინარე მიღებულია ოცი კანონმდებარე აქტი, მათ შორის მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ნარჩენების მართვის სფეროში გააჩნია სხვა საერთაშორისო ვალდებულებებიც. კერძოდ, საქართველო არის „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვისა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“ ბაზელისა და „მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ“ სტოკჰოლმის კონვენციების მხარე.

ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ მიზნებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ პრიორიტეტებს შორის. კერძოდ ერთ სულ მოსახლეზე გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას, მათ შორის მუნიციპალური და სხვა ნარჩენების მართვის საკითხებისათვის განსაკუთრებული ყურადღების დათმობით. აღნიშნული ამოცანის მიღსაღწევად ქვეყანამ სრულად უნდა უზრუნველყოს წარმოქმნილი ნარჩენების რეგულარულად შეგროვება, გადამუშავება და განთავსება.

ნარჩენების მართვის კოდექსის, დებულებების და საერთაშორისო კონვენციების მოთხოვნების აღსრულება უაღრესად მნიშვნელოვანია და ეს პროცესი გაუმჯობესებას საჭიროებს როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე. მაგალითად, კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების მიუხედავად, კვლავ ფუნქციონირებს უკანონო ნაგავსაყრელები, გრძელდება დაცული ტერიტორიებისა და ტურისტული კომპლექსების, ასევე სხვა ტერიტორიების დანაგვიანება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ევროკავშირის ნარჩენების მართვის კანონმდებლობასთან შემდგომი ჰარმონიზაცია, მისი ეფექტიანი განხორციელება და აღსრულება გადაწყვეტი მნიშვნელობისაა ქვეყანაში ნარჩენების მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებისათვის.

მუნიციპალიტეტის კომპეტენციას, „კოდექსი“-ს მე-6 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად განეკუთვნება მუნიციპალური ნარჩენების (საყოფაცხოვრებო ნარჩენები, აგრეთვე სხვა ნარჩენები, რომლებიც თავიანთი მახასიათებლებითა და შემადგენლობით საყოფაცხოვრებო ნარჩენების მსგავსია) მართვა (მათ შორის, მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება), „ნარჩენების მართვის პრინციპები“-ს შესაბამისად.

„უსაფრთხოების წინასწარი ზომების მიღების პრინციპი“ - მიღებული უნდა იქნას ზომები გარემოსათვის ნარჩენებით გამოწვეული საფრთხის თავიდან ასაცილებლად, მაშინაც კი, თუ არ არსებობს მეცნიერულად დადასტურებული მონაცემები;

➤ **პრინციპი „დამზინბურებელი იხდის“** - ნარჩენების წარმომქმნელი ან ნარჩენების მფლობელი ვალდებულია გაიღოს ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ხარჯები;

➤ **„სიახლოვის პრინციპი“** - ნარჩენები უნდა დამუშავდეს ყველაზე ახლოს მდებარე ნარჩენების დამუშავების ობიექტზე, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ეფექტიანობის გათვალისწინებით;

➤ **„თვითუზრუნველყოფის პრინციპი“** - უნდა ჩამოყალიბდეს და ფუნქციონირებდეს მუნიციპალური ნარჩენების განთავსებისა და აღდგენის ობიექტების ინტეგრირებული და ადექვატური ქსელი.

„კოდექსისა“ და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 შესაბამისად, ნარჩენების მართვის სფეროში მუნიციპალიტეტის კომპეტენციას განეკუთვნება მუნიციპალური ნარჩენების მართვა და მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს შემდეგ კანონქვემდებარე დოკუმენტებთან:

➤ საქართველოს მთავრობის „ნარჩენების მართვის 2016 – 2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2016 – 2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის №160 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2022 წლის 9 აგვისტოს N414 დადგენილება;

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის N159 დადგენილება - „მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე.

➤ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს N422 დადგენილება - „ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმისა და შინაარსის შესახებ“;

➤ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N144 დადგენილება - „ნარჩენების შეგროვების, წინასწარი დამუშავების და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ“;

„მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა“, ასევე, ეფუძნება შემდეგ საკანონმდებლო აქტებს:

➤ საქართველოს კანონს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“;

➤ საქართველოს კანონს - „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს“;

➤ საქართველოს კანონს „გარემოს დაცვის შესახებ“.

ზემოთ აღნიშნული სამართლებრივი დოკუმენტების ერთობლიობა ქმნის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების სამართლებრივ საფუძვლებს და მარეგულირებელ ნორმებს.

კანონმდებლობის სფეროში არსებული გამოწვევებია:

- საქართველო-ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმებისა და საერთაშორისო კონვენციების მოთხოვნების ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვის პროცესის გაგრძელების საჭიროება;
- ეროვნული საკანონმდებლო და საერთაშორისო მოთხოვნების სრულად აღსრულების საჭიროება.

2.2 მუნიციპალიტეტის აღწერა და დემოგრაფიული მონაცემები

ა. ინფორმაცია თვითმმართველის ერთეულის გეოგრაფიული მდებარეობის შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი - ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული დასავლეთ საქართველოში, გურიის მხარეში, მდინარეების ნატანებისა და სუფსის ხეობებში, ჩრდილოეთ განედის 41°56 და აღმოსავლეთ გრძედის 41°59. დასავლეთით ესაზღვრება შავი ზღვა, სამხრეთით აჭარა-გურიის ქედი, მდინარე ჩოლოქი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. აღმოსავლეთით ჩოხატაურის, ხოლო ჩრდილოეთით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი - ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული დასავლეთ საქართველოში, გურიის მხარეში, მდინარეების ნატანებისა და სუფსის ხეობებში, ჩრდილოეთ განედის 41°56 და აღმოსავლეთ გრძედის 41°59. დასავლეთით ესაზღვრება შავი ზღვა, სამხრეთით აჭარა-გურიის ქედი, მდინარე ჩოლოქი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. აღმოსავლეთით ჩოხატაურის, ხოლო ჩრდილოეთით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორია შეადგენს 663 კმ², მათ შორის ურბანული ტერიტორია (დაბა) – 54 კმ², არაურბანული ტერიტორია (თემი, სოფელი) – 379 კმ², ხოლო სასოფლო-სამეურნეო სავარგულები 230 კმ².

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია - ქალაქი ოზურგეთი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შავი ზღვის სანაპირო ზოლი მოიცავს **ურეკი-შეკვეთილის** სარეკრეაციო ტერიტორიას, რომლიც სიგრძეც 12 კილომეტრს შეადგენს. ასევე, მუნიციპალიტეტში არის მაღალმთიანი კლიმატური საზაფხულო კურორტი **გომისმთა**, რომელიც მდებარეობს მესხეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, მდინარე ბჟუჟის ხეობაში, ზღვის დონიდან 2 100 – 2 755 მეტრის სიმაღლეზე.



ბ. ბუნებრივ-კლიმატური პირობების დახასიათება

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჰავა ხასიათდება სუბტროპიკული ნოტიო კლიმატით. ტენიანობას განაპირობებს შავი ზღვის საიხლოვე და აღმოსავლეთიდან გარშემორტყმული მაღალი ქედები. ტენიანობა განსაკუთრებით მაღალია ზაფხულში. ნალექების საშუალო წლიური ოდენობა შეადგენს 2100–2800 მმ.-ს. ნალექების მაქსიმუმი სექტემბერში მოდის, მინიმუმი მაისში. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 14,5°C-დან -4°C-მდე, ყველაზე ცივი თვეა იანვარი (+5°C-დან -5°C-მდე), ხოლო ყველაზე თბილი აგვისტო (+23°C-დან +13°C-

მდე). აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურაა -17°C-18°C (ზღვისპირა დაბლობი) და -30-32°C (მაღალ მთებში). აბსოლუტური მაქსიმუმი 31-41°C შორის მერყეობს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიისთვის დამახასიათებელია სეზონური ქარები: ზამთარში ქრის სამხრეთაღმოსავლეთის, ხოლო ზაფხულში დასავლეთის ქარები. ქარის საშუალო სიჩქარე შეადგენს 3,2 მ/წმ. ზამთარსა და გაზაფხულზე იცის ფიონები, თუმცა მათ ნაკლები ზიანი მოაქვთ, ვიდრე დასავლეთ საქართველოს სხვა მხარეებში. მუნიციპალიტეტის ტერიტორია მოქცეულია 5 – 6 ბალიან მიწისძვრების საშიშროების ზონაში.

გ. მუნიციპალიტეტში შემავალი დასახლებების ნუსხა და მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრამდე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი შედგება 30 ადმინისტრაციული ერთეულისაგან, 77 პირველადი განსახლების ადგილი, მათ შორის, 4 დაბა, 25 თემი და 1 ქალაქი:

N	ადმინისტრაციული ერთეული	ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლები		დაშორება ცენტრიდან (კმ)
1	დაბა ლაითური	1	დაბა ლაითური	14
2	დაბა ნარუჯა	2	დაბა ნარუჯა	10
3	დაბა ნასაკირალი	3	დაბა ნასაკირალი	10
4	დაბა ურეკი	4	დაბა ურეკი	29
		5	წვერმაღალა	24
5	ასკანა	6	ასკანა	17
		7	ეწერი	15
		8	მზიანი	20

6	ბაილეთი	9	ჭაინიეთური	11
		10	ბაილეთი	9
		11	ახალსოფელი	7
7	ბახვი	12	ქვედა ბახვი	12
		13	ბახვი	10
		14	მშვიდობაური	14
		15	ოქროსქედი	14
8	ბოხვაური	16	ბოხვაური	3
		17	ჭალა	4
9	გურიანთა	18	გურიანთა	4
		19	ციხისფრდი	5
10	დვაბზუ	20	დვაბზუ	5
		21	გალმა დვაბზუ	7
11	ვაკიჯვარი	22	ვაკიჯვარი	13
		23	ფამფალეთი	13
12	თხინვალი	24	თხინვალი	13
13	კონჭკათი	25	კონჭკათი	14
		26	განთიადი	16
14	ლიხაური	27	ლიხაური	5


		28	კვაჭალათი	4
		29	ნიაბაური	6
		30	აჭი	7
15	მაკვანეთი	31	მაკვანეთი	5
		32	ქვედა მაკვანეთი	4
		33	გოგიეთი	7
16	მელექედური	34	მელექედური	4
17	მერია	35	მერია	9
		36	ნაღობილვევი	11
		37	ხვარბეთი	11
		38	ჭახვათა	13
18	მთისპირი	39	მთისპირი	16
		40	ოქროსქედი	18
		41	ვანისქედი	18
		42	უკანავა	20
19	ნაგომარი	43	ნაგომარი	14
		44	ჟანაური	16
		45	მაღალი ეწერი	17
		46	შუაისნარი	19

20	ნატანები	47	ზ ნატანები	23
		48	ქვ.ნატანები	18
		49	შეკვეთილი	21
21	სოფელ ოზურგეთი	50	სოფ.ოზურგეთი	2
22	სილაური	51	სილაური	11
23	შემოქმედი	52	კვირიკეთი	2
		53	წითელმთა	4
		54	შემოქმედი	6
		55	გონებისკარი	8
		56	გომი	10
24	ცხემლისხიდი	57	ცხემლისხიდი	7
		58	უზბუბი	8
		59	ბაღდადი	9
25	ძიმიტი	60	ზ. ძიმიტი	18
		61	ქ. ძიმიტი	16
		62	ძიმიტის ნასაკირალი	14
26	ჭანიეთი	63	ჭანიეთი	7
		64	ვაშტიალი	5
		65	ქაქუთი	10
27	ჯუმათი	66	იანეთი	17

		67	ბოგილი	14
		68	ჯუმათი	12
		69	ძირი ჯუმათი	15
28	შრომა	70	შრომა	30
		71	მოცნარი	31
		72	ხრიალეთი	33
		73	ვაკე	29
		74	ზედუბანი	34
		75	ორმეთი	32
29	გომისმთა	76	გომისმთა	33
30	ქალაქი ოზურგეთი	77	ქალაქი ოზურგეთი	

დ. დემოგრაფიული მონაცემები და მუდმივად მცხოვრები მოსახლეობა

ს.ს.ი.პ. „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური“-ს მიერ ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, ისევე როგორც ქვეყნაში და რეგიონში, ხასითდება კლებადი დინამიკით. საერთო ჯამში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 2022 წლის 1 იანვრის მონაცემით 61 000 ადამიანს. მოსახლეობის 1994 წლის აღწერის შედეგებთან შედარებით მოსახლეობის კლებამ საერთო ჯამში 31 პროცენტი შეადგინა. ქვემოთ წარმოდგენილია სტატისტიკური ინფორმაცია მოსახლეობის რაოდენობის შესახებ.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

დ.ბ. სეზონური ცვლილებები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე არის ორი საკურორტო ზონა:

- მაღალმთიანი კლიმატური საზაფხულო კურორტი - **გომისმთა**.
- საზღვაო კურორტი - **ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორია**;

ზემოთ აღნიშნულ საკურორტო ტერიტორიებზე მოსახლეობის რაოდენობის სეზონური მატება და ტურისტების ნაკადის ზრდა ხდება ძირითადად ზაფხულის პერიოდში.


სამთო კურორტი **გომისმთა** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შემოქმედის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარეობს, რომელიც მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრთან დაკავშირებულია „ოზურგეთი-შემოქმედი-ბჟუჟჰესი-გომისმთა“ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის 32,6 კმ სიგრძის საავტომობილო გზით. კურორტზე განთავსებულია 800-მდე დასასვენებელი

სააგარაკო სახლი. სეზონურად დამსვენებელთა რაოდენობა შეადგენს 2 000 ადამიანს. სასტუმროები ან/და სხვა ტიპის დასავენებელი ობიექტები კურორტზე არ არის.

შეკვეთილის საკურორტო ზონა მდებარებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ნატანების ადმინისტრაციულ ერთეულში, ხოლო **ურეკის** საკურორტო ზონა განთავსებულია დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში.

ბოლო პერიოდში, ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე წყალმომარაგებისა და წყალარინების მასშტაბური პროექტის განხორციელების მიზნით მომზადდა საპროექტო დოკუმენტაცია, რომლის შემუშავების პროცესში კვლევის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს შეადგენდა წყალმომარაგების დინამიკის განსაზღვრა 2010-2040 წლების პერიოდისათვის. კვლევის თანახმად, ურეკის მოსახლეობის ზრდის დინამიკა გაანგარიშებულია 3%-იანი მაჩვენებლით და შეკვეთილში ანალოგიური დინამიკა - 5%-იანი მაჩვენებლით. ასევე, განისაზღვრა ტურისტების მაქსიმალური ოდენობა სანაპირო ზოლის მაქსიმალურად ათვისებისა და დატვირთვის პერიოდში. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილია შეჯამებული მონაცემები მოსახლეობისა და ტურისტების რაოდენობის შესახებ.

პროექტის შესაბამისად მიმდინარეობს წყალმომარაგებისა და წყალარინების მასშტაბური პროექტის განხორციელება.



წყარო: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება Nი-621 (10.10.2014 წელი) შ.პ.ს. „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-ს ურეკის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობასა და ექსპლოატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ.

დასახელება	განზომილება	2010 წელი	2020 წელი	2030 წელი	2040 წელი
მომხმარებლები - სულ	სული	9 100	20 000	30 000	40 000
მომხმარებლები - ურეკი	სული	6 700	15 000	20 000	25 000
მომხმარებლები - შეკვეთილი	სული	2 400	5 000	10 000	15 000
მოსახლეობა - ურეკი	სული	1 700	2 154	2894	3 889
მოსახლეობა - შეკვეთილი	სული	400	591	963	1 568
ტურისტები - ურეკი	სული	5 000	12 846	17 106	21 111
ტურისტები - შეკვეთილი	სული	2 000	4 409	9 037	13 432

დ.გ. საოჯახო მეურნეობები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, დღეისათვის მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის საოჯახო მეურნეობების (ოჯახების) შესახებ ინფორმაცია შემდეგი სახისაა:

- **ურბანულ** ტერიტორიაზე (დაბებში) - **ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების** (ერთი ოჯახის საცხოვრებელი ერთეულების) რაოდენობა არის - 1 513 ერთეული;
- **ურბანულ** ტერიტორიაზე (დაბებში) - **მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების** (რამდენიმე ოჯახის საცხოვრებელი ერთეულების) რაოდენობა არის - 211 ერთეული;
- **არაურბანულ** ტერიტორიაზე (თემში, სოფელში) - **ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების** (ერთი ოჯახის საცხოვრებელი ერთეულების) რაოდენობა არის - 17 250 ერთეული;
- **არაურბანულ** ტერიტორიაზე (თემში, სოფელში) - **მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების** (რამდენიმე ოჯახის საცხოვრებელი ერთეულების) რაოდენობა არის - 24 ერთეული.

- ურბანულ ტერიტორიაზე ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე - ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების (ერთი ოჯახის საცხოვრებელი ერთეულების) რაოდენობა არის - 4 625 ერთეული;
- ურბანულ ტერიტორიაზე ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (რამდენიმე ოჯახის საცხოვრებელი ერთეულების) რაოდენობა არის - 101 ერთეული;

2.3 გეგმის ამოცანები და მიზნობრივი შედეგები

იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას *ნმეს*-ით დეკლარირებული კურსი - „საქართველო ისწრაფვის გახდეს ნარჩენების პრევენციასა და რეციკლირებაზე ორიენტირებული ქვეყანა“, განისაზღვრა ძირითადი მისაღწევი მიზანები და მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი შესაბამისი ამოცანები. აღნიშნულიდან გამომდინარე, *ნმეს*-ით და *ნმესგ*-ით მუნიციპალიტეტებისათვის განისაზღვრა ვალდებულებები შესაბამისი ვადების მითითებით:

მიზანი N1- ევროკავშირის მოთხოვნებისა და საერთაშორისო კონვენციების შესაბამისი ნარჩენების მართვის კანონმდებლობის შემუშავება, განხორციელება და აღსრულება.

ამოცანა 1.1. ნარჩენების მართვის კანონმდებლობის ეფექტიანი აღსრულება 2025 წლისათვის.

მიზანი N2 - ნარჩენების მართვის დაგეგმვის სისტემის ჩამოყალიბება და დანერგვა ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე.

ამოცანა 2.1. მუნიციპალური ნარჩენების მართვის დაგეგმვის გაუმჯობესება;

ამოცანა 2.2 კერძო და საჯარო სექტორების თანამშრომლობის ხელშეწყობა.

მიზანი N3 - ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება და დანერგვა.

ამოცანა 3.1. მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სისტემის გაუმჯობესება;

ამოცანა 3.2 ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების სისტემის ჩამოყალიბება.

მიზანი N4 - არასახიფათო ნარჩენების ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის უსაფრთხო განთავსების უზრუნველყოფა.

ამოცანა 4.1. სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა/რემედიაცია და წარმოქმნის პრევენცია.

მიზანი N5 - ნარჩენების პრევენცია, ხელახალი გამოყენება, რეციკლირება ან/და აღდგენა.

ამოცანა 5.1. ქალაქის, მინის, მეტალის და პლასტიკის წარმოქმნის წყაროსთან სეპარირების სისტემის ჩამოყალიბება 2026 წლისათვის;

ამოცანა 5.1 პრევენციის პროგრამის შემუშავება;

ამოცანა 5.2 ნარჩენების რეციკლირების და ენერჯის აღდგენის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა;

ამოცანა 5.3 ნარჩენების მონიტორინგის შესაძლებლობების გაძლიერება.

მიზანი N6 - ნარჩენების მართვის ხარჯების სრული ამოღება „დამზინძურებელი იხდის“ პრინციპის შესაბამისად.

ამოცანა 6.1. მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის სატარიფო სისტემის შეფასება, რეკომენდაციების შემუშავება და განხორციელება;

ამოცანა 6.2. ნაგავსაყრელების ოპერატორების მიერ ნაგავსაყრელებზე ნარჩენების განთავსების საფასურის განსაზღვრა და მისი ეტაპობრივი დანერგვა;

ამოცანა 6.1 მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის ხარჯების ამოღების სისტემის გაუმჯობესება

მიზანი N7 - მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ხელშეწყობა და დანერგვა.

ამოცანა 7.1. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა და შესაძლებლობათა ფარგლებში, *მგვ*-ის განხორციელების ხელშეწყობა.

მიზანი N8 - ნარჩენების შესახებ მონაცემებისა და ინფორმაციის მართვის სისტემის ჩამოყალიბება და დანერგვა.

ამოცანა 8.1. მუნიციპალური ნარჩენების შესახებ ინტეგრირებული მონაცემთა ბაზის ჩამოყალიბება(შეგროვება, დამუშავება) შემუშავება და კანონმდებლობის შესაბამისად სისტემის ადმინისტრატორისათვის მიწოდება.

მიზანი N9 - ნარჩენების მართვის შესახებ შესაძლებლობათა გაძლიერება და ცნობიერების ამაღლება.

ამოცანა 9.1. ნარჩენების მართვაში ჩართული საჯარო უწყებების შესაძლებლობების გაუმჯობესება;

ამოცანა 9.2 საზოგადოების ცნობიერების ამაღლების გაუმჯობესება ნარჩენების მართვის საკითხებზე.

მიზანი N10 - სახიფათო ნარჩენების მართვის გაუმჯობესება.

ამოცანა 10.1 სახიფათო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით შესაძლებლობების გაძლიერების და ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა.

მიზანი N11 - პლასტიკის ნარჩენების მართვა.

ამოცანა 11.1. პლასტიკის ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისა და დამუშავების სისტემის დანერგვის საჭიროება;

ამოცანა 11.2. პლასტიკის ნარჩენების პრევენციის ღონისძიების განხორციელების საჭიროება;

ამოცანა 11.3. პლასტიკის ნარჩენების მართვაში ჩართული დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების გაძლიერების საჭიროება.

მიზანი N12 - ბიოდეგრადირებადი ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სისტემის დანერგვა.

ამოცანა 12.1. ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირების პრაქტიკის დანერგვა;

ამოცანა 12.2. ბიოდეგრადირებადი ნარჩენების ენერჯიად გარდაქმნის ხელშეწყობა;

მიზანი N13 - ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების მართვის გაუმჯობესება.

ამოცანა 13.1. ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების მართვის და მონიტორინგის გაუმჯობესება;

ამოცანა 13.2. ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების შეგროვებისა და რეციკლირების თანამედროვე მიდგომების დანერგვის ხელშეწყობა.

2.4 დაგეგმვის პროცესის აღწერა

გეგმის ჩარჩოს სტრუქტურა მოიცავს:

1. მიზნების შესაბამისი ამოცანების იდენტიფიცირებას;
2. ამოცანების შესასრულებლად აქტივობების განსაზღვრას;
3. აქტივობის შესრულების ვადის განსაზღვრას;
4. აქტივობის შედეგის ინდიკატორების განსაზღვრას;
5. აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყების განსაზღვრას;
6. აქტივობის შესრულებაზე პარტნიორი ორგანიზაციის იდენტიფიცირებას;
7. აქტივობის საპროგნოზო ბიუჯეტის განსაზღვრას;
8. დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირება.

ნაწილი 3 - მუნიციპალური ნარჩენების დახასიათება

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის ჩამოყალიბება დაიწყო 2015 წელს, ხოლო სერვისის დაფარვის არეალის გაფართოება განხორციელდა 2015 – 2023 წლებში.

3.1 ნარჩენების რაოდენობა

შეგროვებული მუნიციპალური ნარჩენების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, შეგროვებული და ტრანსპორტირებული ნარჩენების მოცულობის დადგენა ხორციელდება ნაგავსაყრელ პოლიგონზე შესვლის დროს, დამონტაჟებული სასწორზე აწონვების განხორციელების მეშვეობით.

ქვემოთ წარმოდგენილია შ.პ.ს. „მყარი ნარჩენების მართვის კომპანა“-ს მიერ მოწოდებული ინფორმაცია ა.(ა).ი.პ. „მუნიციპალური მომსახურების ცენტრი“-ს მიერ 2020-2022 წლების მიხედვით შეგროვებული და ტრანსპორტირებული მუნიციპალური ნარჩენების რაოდენობის შესახებ.

2020 წელი - 13 000 ტონა;

2021 წელი - 14 000 ტონა;

2022 წელი - 15 000 ტონა.

ნარჩენების წარმოქმნას ახასიათებს სეზონური ცვლილებები და ეს წარმოდგენილია კიდევ გრაფიკების მეშვეობით. როგორც ირკვევა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების რაოდენობა ყველაზე მაღალ ნიშნულს აგვისტოს თვეში აღწევს, რაც ძირითადად განპირობებულია ურეკი-შეკვეთილისა და გომისმთის საკურორტო ზონაში ტურისტების ნაკადის შემოდინებით.

ნარჩენების წარმოქმნის სეზონური ცვლილებების ანალიზი მნიშვნელოვანია, რადგან მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს ადეკვატურად.

3.2 ნარჩენების პროგნოზირება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ნარჩენების წარმოქმნა, მომდევნო ხუთი წლის პერიოდისათვის, პროგნოზირებულია შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით:

1. *ნმესგ*-ით და „სამოქმედო გეგმით“ დასახული ნარჩენების შეგროვების მინიმალური ეროვნული მაჩვენებლების მიღწევა 2026 წლისათვის;
2. ნარჩენების შეგროვების მომსახურების დაფარვის არეალის გაფართოება 2023-26 წლებში;
3. ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე ტურისტების ნაკადების მატება 2022 წლისათვის, ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე წყალმომარაგებისა და წყალარინების საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავების პროცესში ჩატარებული კვლევის საფუძველზე დადგენილი წყალმოთხოვნილების დინამიკის დადგენისათვის გამოყენებული მონაცემები;
4. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა, არსებული მონაცემების უცვლელად მომდევნო ხუთი წლისათვის;
5. ერთ სულ მოსახლეზე წლის განმავლობაში ნარჩენების წარმოქმნის საშუალო სიჩქარის მაქსიმალური მაჩვენებელი.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, მუნიციპალური ნარჩენების წარმოქმნის საპროგნოზო მაჩვენებელი წარმოდგენილია შემდეგი სახით:

2023 წელი - 15 500 ტონა;

2024 წელი - 16 000 ტონა;

2025 წელი - 16 500 ტონა;

2026 წელი - 17 000 ტონა;

2027 წელი - 17 500 ტონა.

3.3 ნარჩენების შემადგენლობის ანალიზი

ა.(ა).ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალური მომსახურების ცენტრის“ მიერ, შეგროვებული და განთავსებისათვის, დროის სხვადასხვა პერიოდში, პოლიგონზე მიწოდებული ნარჩენების შემადგენლობის შესწავლის მეშვეობით (დაახლოებით 30 ტონა შეგროვებული ნარჩენი) გამოიკვეთა შემდეგი გარემოება:

დასახელება	მთლიანი მოცულობა ტონა	წილობრივი შემადგენლობა %	წილობრივი შემადგენლობა ტონა
ორგანული მასები	30	50%	15
ქაღალდი	30	5%	1,5
მუყაო	30	15%	4,5
პლასტიკი	30	25%	7,5
მინა	30	5%	1,5
ლითონი	30	0%	0

როგორც ანალიზი ცხადყოფს, მუნიციპალური ნარჩენების შემადგენლობაში ყველაზე დიდი წილი უკავია ორგანულ ნივთიერებებს, ხოლო მეტალის ნარჩენები პრაქტიკულად არ არის. ორგანული და რეციკლირების პოტენციალის მქონე ნარჩენები დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ნარჩენების შემადგენლობაში, რაც საფუძველს წარმოადგენს რეციკლირებისა და აღდგენის იმ პროცესების სქემის შესამუშავებლად, რომელიც უნდა დაინერგოს დაგეგმვის ხუთწლიანი პერიოდის განმავლობაში.

ნაწილი 4 - არსებული მუნიციპალური ნარჩენების სისტემის მიმოხილვა

4.1 შესავალი

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა“ და საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად, მუნიციპალური ნარჩენების მართვა (შეგროვება, ტრანსპორტირება, დაგვა-დასუფთავება და ა.შ.) მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალური ნარჩენების მართვის მომსახურებას ახორციელებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ოზურგეთის მუნიციპალური მომსახურების ცენტრი“ (შემდგომში „მომსახურების ცენტრი“).

4.2 არსებული მუნიციპალური მომსახურების აღწერა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, ნარჩენების შეგროვება ხორციელდება საერთო სარგებლობის კონტეინერების მეშვეობით.

დღეისათვის, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში განთავსებულია 1940 ნაგავშემკრები კონტეინერი და ურნა, რაც არ არის საკმარისი რაოდენობა ტერიტორიის სრული ათვისებისათვის.

ნარჩენების შეგროვება ხორციელდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ნაგავშიდი ტექნიკის მეშვეობით.

ასევე, ურეკი-შეკვეთილის სანაპირო დასუფთავებისათვის, რომლის ფართობი შედგენს 230 000 მ², ნარჩენების შეგროვებისა და გატანისათვის გამოიყენება სპეციალური ტექნიკა და ტრაქტორები.

ადმინისტრაციულ ერთეულებში ნარჩენების შეგროვება ხორციელდება ქალაქში ყოველდღიურად (საჭიროების შემთხვევაში დღეში ორჯერ), ხოლო სოფლებში ყოველ მეორე დღეს, ხოლო ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ზონაში აქტიური საკურორტო სეზონის პერიოდში (ივლისი-აგვისტო-სექტემბერი) დღეში ორჯერ, კურორტ გომისმთაზე 3 დღეში 1 ჯერ.

ნაგვის ურნების რაოდენობა ტერიტორიული ერთეულების მიხედვით:

N	ტერიტორიული ერთეულები	განზომილება	რაოდენობა
1	ქალაქი ოზურგეთი	ცალი	488
2	ლაითური	ცალი	77
3	ნარუჯა	ცალი	56
4	ნასაკირალი	ცალი	38
5	ურეკი	ცალი	204

6	ასკანა	ცალი	30
7	მთისპირი	ცალი	16
8	ბახვი	ცალი	58
9	დვაბზუ	ცალი	48
10	ცხემლისხიდი	ცალი	43
11	ვაკიჯვარი	ცალი	38
12	ჭანიეთი	ცალი	36
13	ლიხაური	ცალი	60
14	მაკვანეთი	ცალი	49
15	ბოხვაური	ცალი	38
16	შემოქმედი	ცალი	97
17	მელექედური	ცალი	55
18	სოფ. ოზურგეთი	ცალი	34
19	ბაილეთი	ცალი	24
20	სილაური	ცალი	23
21	ჯუმათი	ცალი	18
22	გურიანთა	ცალი	28
23	მერია	ცალი	45
24	თხინვალი	ცალი	22
25	კონჭკათი	ცალი	14
26	ნატანები (შეკვეთილი)	ცალი	209
27	შრომა	ცალი	45
28	ძიმითი	ცალი	18
29	ნაგომარი	ცალი	15
30	გომის მთა	ცალი	14

წყალსადინარების/მდინარეების დასუფთავება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, შავი ზღვის შენაკად მდინარე ნატანებში, გარემოს დაცვის სამინისტროს კვლევისა და რეკომენდაციების საფუძველზე, 2016 წლის ივნისი-ივლისის თვეებში, ს.ს.ი.პ. „მუნიციპალური განვითარების ფონდი“-ს დაკვეთით, ატივინარებული ნარჩენების დამჭერი მოწყობილობების მონტაჟი განხორციელდა. 2017 წელს ნარჩენების დამჭერი მოწყობილობები მოეწყო მდინარე სეფისწყალზეც.

მდინარე ნატანები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შავი ზღვის სანაპირო ზოლის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, ვინაიდან გააჩნია დიდი წყალშემკრები აუზი (დაახლოებით 469 კვ.კმ.) და გაედინება მოსახლეობის მიერ ინტენსიურად ათვისებულ ტერიტორიებზე. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ადიდებულ მდინარე ნატანებს ნაგავთან ერთად, წყალდიდობის პერიოდში ჩამოაქვს ნაგლეჯი ხის მასალაც. სწორედ ამით არის განპირობებული მდინარე ნატანებზე მოწყობილობის დამონტაჟების აუცილებლობა.

დამჭერი მოწყობილობა წარმოადგენს რეზინის ბაფთას, რომელსაც ორივე მხრიდან დამაგრებული აქვს პოლიეთილენის ტივტივები. ბაფთის ვერტიკალურობას უზრუნველყოფს სპეციალური სიმძიმეები (ტყვია ან ჯაჭვი). კოსტრუქცია მოქნილია, რის გამოც ის მოძრაობს მდინარის დონის მატება-დაკლებასთან ჰარმონიაში და აკავებს მდინარის ზედაპირზე მცურავ ნებისმიერ ნარჩენს, მათ შორის ნავთობპროდუქტებსაც.

მდინარის ორივე ნაპირზე დამონტაჟებულია დამჭერი, მდინარის მიმართ მახვილი კუთხით, რაც იძლევა საშუალებას, რომ ნარჩენმა თავი მოიყაროს ერთ ადგილას, საიდანაც ხდება მათი ამოღება და ნაგავსაყრელზე გატანა.

4.3 შეგროვების და ტრანსპორტირების მომსახურება

ა. ინსტიტუციური ჩარჩო

ნარჩენების მართვის კოდექსის თანახმად, მუნიციპალური, მათ შორის საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობაა.

მუნიციპალური ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის მიერ 2016 წლის 1 აპრილს მიღებული იქნა N159 დადგენილება „მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე, რომელიც ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვრიდან და 2016 წლის 29 მარტის N144 დადგენილება „ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ“.

ზემოთ აღნიშნული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები არეგულირებს მუნიციპალური ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ პროცესებს.

ბ. შეგროვების და ტრანსპორტირების საშუალებები და საოპერაციო პროცესები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისათვის გამოიყენება კოლექტიური შეგროვების მიდგომა. კონტეინერები განთავსებულია ყველა მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომ ადგილებში. კონტეინერები სტანდარტული სახისაა და თავსებადია ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილ ტექნიკასთან.

რაც შეეხება შეგროვებული ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის გამოყენებულ ტექნიკას, გამოიყენება საპრესი მოწყობილობის მქონე ნაგავმზიდები. არსებულ ნაგავმზიდებს გააჩნია უკანა ჩატვირთვის სისტემა და ტვირთამწობის მიხედვით 1320 მ³ მოცულობისაა.

პლაჟზე შეგროვებული ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის გამოიყენება საპრესი მოწყობილობის არმქონე მისაბმელიანი ტრაქტორები, რომლებიც ახდენენ შეგროვებული ნარჩენების ტრანსპორტირებას განთავსების არსებულ პოლიგონზე და გადამტვირთ სადგურში.

„მომსახურების ცენტრი“-ს საკუთრებაში არსებულ ახალი ტექნიკის მომსახურება ხორციელდება მომწოდებლის მიერ, საგარანტიო პირობების შესაბამისად, ხოლო სხვა ტექნიკის მომსახურება ხდება სარემონტო მობილური ჯგუფის მიერ ადგილზე.

სათადარიგო ნაწილების შეძენა ხდება ტენდერის საშუალებით, რომლის შესყიდვისა და მოწოდების ვადა საშუალოდ შეადგენს 30 კანლენდარულ დღეს. მარაგების შეძენა-შენახვა ხორციელდება გასული წლის ხარჯების ანალიზის საფუძველზე, შესაბამისი განყოფილების მიერ.

ნაგავშემკრები კონტეინერების და ნაგავმზიდი ტექნიკის მიმიდნარე შეკეთებასა და სანიტარულ დამუშავებს (დეზინფექცია) უზრუნუნველყოფს „მომსახურების ცენტრი“-ს მატერიალურ-ტექნიკური განყოფილების სარემონტო მობილური ჯგუფი.

„მომსახურების ცენტრი“-ს საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებები წარმოდგენილია ცხრილის სახით:

ძირითადი სატრანსპორტო საშუალებები					
სატრანსპორტო საშუალება		სახ. ნომერი	გამ. წელი	საინდივიდუაციო ნომერი	ტიპი
1	FIAT TIPO	BB706YY	2022		მსუბუქი
2	TOYOTA HAILUKSI	RR244RF		MROFR226690544846	პიკაპი
3	FORD REINJERI	TT285JT		6FPPXXMJ2PFL77037	პიკაპი
4	TOYOTA HAILUKSI	QH011QH		MROFR22G5C0667268	პიკაპი
5	MITSUBISHI AERTEC	AY033YA	2001	CU2W0005918	მსუბუქი
6	NIVA	EE627MM	2004	1750154	მსუბუქი
7	MERCEDES-BENZ	EE628MM	1993	WDB6113181P279923	ამწე კალათი
8	FORD TRANSIT 350L	OO 717 ZZ		WF0AXXGBFAYK72159	ამწე კალათი
9	HYUNDAI	RR866GG	2007	KMFGA17PP7C059011	ამწე კალათი
10	FORD CARGO	BC 295 BD	2014	NMOKKXTP6KER93293	ნაგავმზიდი
11	FORD CARGO	SZ 280 ZS	2015	NMOLKXTP6LFD97341	ნაგავმზიდი
12	FORD CARGO	SZ 285 ZS	2015	NMOKKTP6KFD97583	ნაგავმზიდი
13	FORD CARGO	SZ 286 ZS	2015	NMOLKXTP6LFD97337	ნაგავმზიდი
14	FORD CARGO	BC 296 BD	2014	NMOLKXTP6LER93294	ნაგავმზიდი
15	MERCEDESS-BENZ	DD 782 FF	2016	NMB37537312181348	ნაგავმზიდი
16	MERCEDESS-BENZ	DD 783 FF	2016	NMB95050112180997	ნაგავმზიდი
17	MERCEDESS-BENZ	SS 594 FF	2016	NMB95050112181281	ნაგავმზიდი
18	IVEGO	EE901TT	2021	ZCFB51DG302717349	ნაგავმზიდი
19	IVEGO	LL542FF	2021	ZCFA51EG802717230	ნაგავმზიდი
20	IVEGO	LL541FF	2021	ZCFA51EG102717229	ნაგავმზიდი
21	BMG TGR	YY748IY	2021	NMC633EHTLK100033	ნაგავმზიდი
22	SUZUKI	VV 074 IV	2020	NSBMPR75KLSC00070	ნაგავმზიდი
23	KAMAZ	UU668KK	2013	XTC651150D1279445	სატვირთო
24	KAMAZ	UU669KK	2014	XTC651150E1294841	სატვირთო
25	KAMAZ	EE 587 MM	1990	44960	სატვირთო
26	FORD	FQ267QF	2021	NMOKKXTP6KMR96694	სატვირთო
27	IVEGO	EE851TT	2021	ZCFB51LJ502717351	სატვირთო
28	JCB	VV 395 V	2019	JCB4CX4WTK2823103	ტრაქტორი
29	JCB	VV546V	2019	JCB4CX4WAK2825622	ტრაქტორი
30	JCB	ZZ104Z	2021	JCB4CX4WCM2999148	ტრაქტორი
31	JCB-160	VV926V	2020	JCBJW16DKL2799537	ტრაქტორი
32	ბელორუსი	GG 145 P	2006	80829503	ტრაქტორი
33	KOMATSU	GG 078 P	2008	KMT0D100K01071430	ტრაქტორი
34	MERCEDESS-BENZ	EE 622 MM	1992	WDB6014161P273371	სატვირთო

35	FORD TRANZIT	FW 172 WF	2000	WF0CXXGBFCYL32098	სატვირთო
36	MERSEDES BENC SPRINTERI	RR795CR	2005	WDB9026721R818624	სამარშრუტო
37	KAMAZ	FF 817 QQ	2006	XTC53229R62280567	სპეც. მანქანა (ცისტერნა)
38	GAZ 3307	EE 621 MM	2006	პასპორტში ნომერი არ წერია	სპეც. მანქანა (ცისტერნა)
39	MITSUBISHI CANTER	EE 620 MM		JL6BCE6J97K021612	სატვირთო
40	„MARINA“	AV 272 V	2015	WKU2803HBFL010187	სპეც. მანქანა
41	გრეიდერი GB165	GG 138 P	2013	XUG165D2VDDDB00049	ტრაქტორი

გ. შეგროვების მომსახურების დაფარვის არეალი

დღეისათვის „მომსახურების ცენტრი“-ს მიერ სერვისის მიწოდება ხდება ურბანულ ტერიტორიაზე (ქალაქი) 100%, სარეკრეაციო ზოლში (ურეკი-შეკვეთილი) 100%, დაბებში მცხოვრები მოსახლეობის 90%-სათვის და არაურბანულ ტერიტორიაზე მცხოვრები (სოფლები) მოსახლეობის 67%-სათვის (ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო).

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 7 სექტემბრის N1629 განკარგულებით დამტკიცდა „2022-2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა“. აღნიშნული დოკუმენტის ერთ-ერთი პრიორიტეტია „შავი ზღვის დაცვა და ზღვის გარემოს კარგი ხარისხობრივი მდგომარეობის მიღწევის ხელშეწყობა“, რომელიც მოიცავს ამოცანას - „საზღვაო ნარჩენების მართვის გაუმჯობესება“. აღნიშნული ამოცანის შესრულების მიზნით დაგეგმილია აქტივობა - „ზღვისპირა მუნიციპალიტეტების მიერ სანაპირო ზოლის მუნიციპალური ნარჩენების მართვის განხორციელება.“ აღნიშნულის გათვალისწინებით მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმაში გათვალისწინებულია სანაპირო ზოლის მუნიციპალური ნარჩენების მართვის საკითხი.

4.4 ქუჩების დასუფთავება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, „მომსახურების ცენტრის“ მიერ პერიოდულად სუფთავდება ნაგომარი - დვაბზუს, სოფ. ოზურგეთი - მერია, ბაილეთისა და ლიხაური-ჭანიეთის საავტომობილო გზების მიმდებარე ტერიტორიები, ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრები, ურეკის სარეკრეაციო ტერიტორიის ქუჩები და ქალაქი ოზურგეთი.

ასევე, ხორციელდება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების (სკვერები, პარკები და სხვა) დასუფთავება, ნარჩენების შეგროვება და გატანა.

4.5 ნარჩენების განთავსების არსებული ობიექტები

საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, „ნარჩენების მართვის სფეროში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობა, მართვა და დახურვა. ნარჩენების გადამტვირთი სადგურების მოწყობა და მართვა, „კოდექსისა“ და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

საქართველოში, მათ შორის ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, არასახიფათო ნაგავსაყრელების მართვას და გადამტვირთი სადგურების მოწყობა-ოპერირებას ახორციელებს *რგის*-ის დაქვემდებარებაში არსებული შ.პ.ს. „მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“.

ა. ოფიციალური ნაგავსაყრელი პოლიგონები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, 2006 წელს განხორციელდა დაბა ურეკისა და მერიის ადმინისტრაციულ ერთეულებში მდებარე არასახიფათო ნარჩენების განთავსების პოლიგონების მოწყობა. 2013 წელს აღნიშნული ნაგავსაყრელები საკუთრებაში გადაეცა *მნმკ*-ს, რომელიც მართვას ახორციელებს გურიის რეგიონალური ოფისის მეშვეობით.

ამ პერიოდისათვის, შ.პ.ს. „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“-მ დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ნაგავსაყრელზე დახურვის სამუშაოები ჩაატარა, რომლის ფარგლებშიც ტერიტორიაზე მოეწყო ნარჩენების გადამტვირთი სადგური. მოხდა არსებული არასახიფათო ნარჩენების საიზოლაციო გრუნტით გადაფარვა. ასევე, მოწესრიგდა პოლიგონის შიდა გზები, წყალარინების არხები, განახლდა არსებული ღობე. ასევე, შექმნილი იქნა ნარჩენების გადამზიდი სპეციალური მანქანა, რომელიც უზრუნველყოფს ნარჩენების ტრანსპორტირებას ურეკის გადამტვირთი სადგურიდან მერიის ნაგავსაყრელზე.

შ.პ.ს. „მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ საკუთრებაში არსებული მერიის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ნაგავსაყრელი პოლიგონის ფართობი შედაგენს 42 000 მ². ნაგავსაყრელი დასახლებული პუნქტიდან დაშორებულია 3 კილომეტრით.

მნმკ-ის მიერ განხორციელდა ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები, განთავსდა სპეციალური ჯიხურები, ჰყავთ სპეცტანსაცმლით აღჭურვილი ოპერატორები, რომლებიც აკონტროლებენ გარეშე პირებისა და პირუტყვის შესვლას, დამონტაჟდა შესაბამის საავტომობილო სასწორი, რომლითაც ხდება ნაგავსაყრელზე შეტანილი არასახიფათო ნარჩენების მოცულობის მუდმივი კონტროლი. ასევე, მოხდა ცალკე უჯრედის მოწყობა აზბესტის ნარჩენების განთავსებისათვის. ნაგავსაყრელზე ხორციელდება ოპერირების მოთხოვნების დაცვა, რაც გულისხმობს ნარჩენების განთავსებას, დატკეპვნას და პერიოდულად საიზოლაციო ფენით გადაფრვას.

მიუხედავად განხორციელებული კეთილმოწყობის ღონისძიებებისა, მერიის ნაგავსაყრელი არ შეესაბამება თანამედროვე გარემოსდაცვით მოთხოვნებს და მასზე არ არის გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. აქედან, გამომდინარე *ნმესგ*-ით გათვალისწინებულია 2024 წლისათვის ამ ნაგავსაყრელის დახურვის სამუშაოების ჩატარება.

მშენებლობის და ნგრევის ნარჩენებისთვის ნაგავსაყრელები არ არსებობს და აღნიშნული ნარჩენების განთავსება ხდება ძირითადად ამოვსების ოპერაციებისათვის.

4.6 აღდგენა (რეციკლირება და კომპოსტირება)

ა. ბაზრები და ბაზრების ჯაჭვების მდგომარეობა

არსებული ინფორმაციის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ნარჩენების აღდგენის ოფიციალური პროგრამების განხორციელება არ ხდება.

მეტალი - ამ ტიპის ნარჩენის განთავსება ნაგავსაყრელზე არ ხორციელდება.

მოსახლეობა ახდენს ასეთი ნარჩენის რეალიზაციას ჯართის შემგროვებელი პუნქტების მეშვეობით.

4.7 ხარჯები და ხარჯების ანაზღაურება

ა. არსებული პროგრამის ხარჯები

დღეისათვის „მოსახურების ცენტრი“-ს მიერ სერვისის მიწოდება ხდება ურბანულ ტერიტორიაზე (დაბებში და ქალაქში) მცხოვრები მოსახლეობის 95%-სათვის და არაურბანულ ტერიტორიაზე მცხოვრები (სოფლებში) მოსახლეობის 67%-სათვის.

სერვისის განხორციელებაზე, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების მაჩვენებლები შემდეგია: 2020 წელს - 1099400 ლარი, 2021 წელს - 1240000 ლარი, 2022 წელს - 1473200 ლარი, ხოლო 2023 წელს ბიუჯეტით დაგეგმილია - 1832000 ლარის გამოყოფა.

ბ. არსებული ტარიფები და ხარჯების ფაქტობრივი ანაზღაურება/მოსაკრებლის ამოღებასთან დაკავშირებული გამოცდილება

საქართველოს კანონის „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ მე-12¹ მუხლის მე-2, მე-4, მე-5, მე-5¹, მე-6 პუნქტების შესაბამისად:

- მოსაკრებლის გადამხდელები არიან ფიზიკური ან/და იურიდიული პირი, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომლებიც თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე წარმოქმნიან ნარჩენებს;
- მოსაკრებლის ოდემობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ სულ მოსახლეზე 3 ლარს თვეში, ხოლო იურიდიული პირის, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის - 25 ლარს ერთ კუბურ მეტრ ნარჩენებზე. ოჯახის წევრთა რაოდენობის მიუხედავად, სულადობის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა განისაზღვროს 4 სულით;
- ნარჩენების წამომქმნელმა შეიძლება მოახდინოს მოსაკრებლის დიფერენცირება დაგროვებული ნარჩენების წონის, მოცულობის ან/და ნარჩენების დაგროვების ნორმის, ნარჩენების სახეობის მიხედვით, აგრეთვე თავისი შემოსავლის, ქონების, მის მიერ დასაქმებული პერსონალის რაოდენობის ან/და საქონლის (მოსახურების) მომხმარებელთა რაოდენობის მიხედვით. მოსაკრებლის ოდენობის დადგენისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ამ სიდიდეების კომბინაციებიც;
- ფიზიკური პირებისათვის მოსაკრებლის ოდენობა დიფერენცირებული უნდა იყოს სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სიღატაკის ზღვრის მაჩვენებლების შესაბამისად;

➤ მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მომსახურების ორგანიზებისა და ადმინისტრირებისათვის საჭირო ხარჯებს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებას და გადახდას არეგულირებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის ოდენობის შემოღებისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ 2018 წლის 18 ივლისის N39 დადგენილება.

დადგენილების შესაბამისად, მოსახლეობისათვის მოსაკრებლის ოდენობა ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 0,40 ლარს, ხოლო იურიდიული პირებისათვის, ორგანიზაციებისათვის, დაწესებულებებისათვის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება ზომის ერთეულის ფაქტობრივი რაოდენობის (შესაბამისი ფართი, ადგილი, საწოლი და ა.შ.) შესაბამისად, შემდეგი ფორმულის შესაბამისად: $M = G \times R$, სადაც:

M - არის ერთი თვის მოსაკრებელი დაწესებულებებისთვის, ორგანიზაციებისთვის, იურიდიული პირებისათვის და ინდივიდუალური მეწარმეთათვის (ლარი);

G - არის მოსაკრებლის განაკვეთი თვეში ზომის ერთეულზე (ლარი);

R - არის ზომის ერთეულის ფაქტობრივი რაოდენობა (შესაბამისი ფართი, ადგილი, საწოლი და ა.შ.);

მომხმარებელთა მიერ ტერიტორიის დასუფთავებისათვის გადახდილი მოსაკრებლის ოდენობამ 2020 წელს შეადგინა - 209639 ლარი, 2021 წელს - 233766 ლარი, 2022 წელს - 275130,91 ლარი, ხოლო 2023 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით 202053,65 ლარი.

გამომდინარე იქიდან, რომ სერვისი ჯერ-ჯერობით არ მიეწოდება მუნიციპალიტეტის მთელს მოსახლეობას სრულად, მოსაკრებლის ადმინისტრირება (ამოღება) ვერ ხდება სრულყოფილად. ამ მიმართულებით, მუნიციპალიტეტის მერიას და „მომსახურების ცენტრს“ დაგეგმილი აქვს, საქართველოში დანერგილი საუკეთესო პრაქტიკის გამოყენების მეშვეობით, მოახდინოს მოსაკრებლის ადმინისტრირება, რათა მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი დაფინანსების მინიმალური ბიუჯეტის მეშვეობით და ორგანიზაცია თვითკმარი გახდეს.

ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი არის ნარჩენების წარმომქმნელი, რომელიც ვალდებულია „დამზინძურებელი იხდის პრინციპი“-ს შესაბამისად საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები შეგროვებისა და დამუშავებისათვის გადასცეს შესაბამისი რეგისტრაციის ან გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მქონე კომპანიას.

საჭიროა მუნიციპალური ნარჩენების მართვის სატარიფო პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა დამზინძურებელი იხდის პრინციპის შესაბამისად და მისი ეტაპობრივი განხორციელება.

4.8 ხარჯების ამოღების სფეროში არსებული გამოწვევები

ხარჯების ამოღების სფეროში არსებული გამოწვევებია:

- ადეკვატური სატარიფო პოლიტიკის შემუშავების საჭიროება;
- ხარჯების ამოღების ეფექტიანი მექანიზმის დანერგვის საჭიროება.

ნაწილი 5 - ნარჩენების ინდუსტრიაში არსებული საუკეთესო პრაქტიკა და ტენდენციები

5.1 შეგროვება და ტრანსპორტირება ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის ხარჯების ყველაზე ძვირადღირებული ელემენტია. განვითარებად ქვეყნებში ასეთი ხარჯები სისტემის მთლიანი ხარჯების თითქმის 90%-ს შეადგენს, ხოლო იმ ქვეყნებში სადაც ფუნქციონირებს თანამედროვე ინსინირატორები და სანიტარული ნაგავსაყრელები 50%-ზე მეტია.


ევროპის ქვეყნებში ნარჩენების შეგროვების სისტემებს შორის ყველაზე აქტუალურია შეგროვების კონტეინული სისტემა, საქართველოშიც ამ სისტემას ფართო გავრცელება აქვს. კონტეინური სისტემის გამოყენება ასევე ეფექტურია ნარჩენების წყაროსთან სეპარირების სისტემის გამოყენების დროსაც, რადგან ეს სისტემა საშუალებას იძლევა აღდგენადი (რეციკლირებადი) მასალების დახარისხებულად შეგროვების შესაძლებლობას.

ასევე, ფართოდ გამოიყენება ინდივიდუალური კონტეინერების სისტემა - მოსახლეობა იყენებს ინდივიდუალურ კონტეინერებს მათი ნარჩენების შეგროვებისათვის და სერვისის განმახორციელებელი კომპანია ახდენს ამ კონტეინერებიდან ნარჩენების შეგროვებას.

საქართველოში, მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა უბან-უბან შეგროვება. ამ დროს ნაგავმზიდების გადაადგილება წინასწარ განსაზღვრული მარშრუტებითა და ინტერვალებით, ჩერდება შერჩეულ ადგილებში და იძლევა სპეციალური ნიშანს.

5.2 აღდგენის პროცესები

ვინაიდან საქართველოში ნარჩენების აღდგენის პროცესების განხორციელების პრაქტიკული გამოცდილება მწირია, მნიშვნელოვანია სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების ანალიზის საფუძველზე განისაზღვროს მომავალი ვარიანტები. ევროპის ქვეყნებში დამკვიდრებულია ნარჩენების მართვის იერარქია, რომლის საბოლოო მიზანს წარმოადგენს ნაგავსაყრელებზე ნარჩენების განთავსების შემცირება და უპირველესად ორიენტირებულია რესურსების ხელმეორედ გამოყენებაზე, ე.წ. „4R“-ის განხორციელებით. აღნიშნული მიდგომა გულისხმობს შემდეგ ძირითად ფაქტორებს:



5.3 საზოგადოების განათლება და საზოგადოებასთან ურთიერთობა

ნარჩენების მართვის სისტემის განვითარების დროს უმნიშვნელოვანესი ფაქტორია საზოგადოების ჩართულობა სისტემის მუშაობაში. მნიშვნელოვანია საკითხია დაინტერესებული მხარეების (საზოგადოების) მონაწილეობა როგორც ნარჩენების მართვის სისტემის განვითარების დაგეგმვის პროცესში, ისე მუშაობის პროცესში.

საზოგადოებასთან ურთიერთობის ეფექტური კამპანიის წარმართვა, რომელიც გულისხმობს როგორც საჯარო შეხვედრების, ერთობლივი აქციების და ლექცია-სემინარების ჩატარებას, ასევე საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით ინფორმაციის მიწოდებას, აქტიურად გამოიყენება ნარჩენების მართვის ინდუსტრიაში და მას საკმაოდ მნიშვნელოვანი ეფექტი აქვს.

ნაწილი 6 - ნარჩენების მართვის მომავალი ვარიანტების ანალიზი

6.1 შეგროვება და ტრანსპორტირება

ა. ნარჩენების შეგროვება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სერვისის დაფარვის არეალის გაზრდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების მეთოდზე. „მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულია მოსახლეობისაგან ნარჩენების შეგროვების ოთხი ძირითადი მიდგომა:

- ✓ **კოლექტიური შეგროვება** - ამ მიდგომის გამოყენების დროს ხდება საზოგადოებრივი ადგილების გამოყოფა, სადაც ხდება ერთი ან რამდენიმე კონტეინერის განთავსება, რომელიც ემსახურება მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობას;
- ✓ **ნარჩენების ტროტურებიდან/გზისპირებიდან შეგროვება** - ამ მიდგომის გამოყენებისას, ნარჩენების წარმომქმნელები ინდივიდუალურ კონტეინერებს ათავსებენ გზის პირზე და ნარჩენების შეგროვების დასრულების შემდეგ მიაქვთ საკუთარი კონტეინერები;
- ✓ **უბან-უბან შეგროვება** - ნარჩენების შეგროვების ამ მეთოდის გამოყენების დროს ნაგავშიდი ტექნიკის გადაადგილება ხდება წინასწარ განსაზღვრული მარშრუტისა და პერიოდულობის შესაბამისად, ჩერდება შერჩეულ ადგილებში და იძლევა სპეციალურ ნიშანს (მაგ. ზარის დარეკვა და ა.შ.);
- ✓ **კარდაკარ შეგროვება** - ეს მიდგომა გულისხმობს ნარჩენების წარმომქმნელების მიერ საკუთარი ნარჩენების თავიანთ კართან მიტანას და გატანა ხდება ნარჩენების შემგროვებელი ბრიგადის მიერ.

ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით (დაბა, თემი, სოფელი) შესაძლებელია შერჩეული იქნას ნარჩენების შეგროვების განსხვავებული მეთოდები ან გამოყენებული იქნას ზემოთ აღნიშნული მეთოდების კომბინაცია.

ბ. ტრანსპორტირება

შეგროვების მეთოდის შერჩევა დამოკიდებულია ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის გამოსაყებელ ტექნიკაზე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შეგროვებული ნარჩენების დამუშავების ან/და განთავსების ობიექტზე ტრანსპორტირების ეფექტური პროცესის განხორციელება.

ნაგავშიდი შეიძლება იქნას შერჩეული საპრესი მოწყობილობით აღჭურვილი ან მოწყობილობის გარეშე.

საპრესი მოწყობილობის არმქონე ნაგავშიდები - ამ ტექნიკის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ადვილად ადპტირებადია არსებულ ვითარებასთან და უფრო მეტად ხელმისაწვდომია. ასეთი ტექნიკის რემონტს და ტექნიკურ მომსახურებას განსაკუთრებული სპეციალიზაცია არ ესაჭიროება და არ მოითხოვს დიდ დანახარჯებს ექსპლუატაციის პროცესში.

საპრესი მოწყობილობის მქონე ნაგავშიდები - მიზანშეწონილია ასეთი ტექნიკის აქტიური გამოყენება ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების პროცესში. ასეთი ტექნიკა თავსებადია სტანდარტულ კონტეინერებთან, მინიმალურია გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის რისკი.

ძირითადი ასპექტები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნარჩენების შეგროვების ხელმისაწვდომი სისტემის ჩამოყალიბებზე შემდეგია:

1. **ნარჩენების წარმოქმნის სიჩქარე** - საქართველოში ნარჩენების წარმოქმნის საშუალო სიჩქარე დღეში მერყეობს 0,3 კილოგრამიდან 0,5 კილოგრამამდე ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით. ამ პარამეტრის გათვალისწინებით შესაძლებელია განისაზღვროს

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიერ წარმოქმნილი ნარჩენების მთლიანი მოცულობა, ასევე, შესაძლებელის ცალკეულ ადმინისტრაციულ ერთეულებში ან/და სოფლებში შესაგროვებელი ნარჩენების მოცულობის დადგენა;

2. **ნარჩენების სიმკვრივე** - საქართველოს მსგავსი ქვეყნების უმეტესობაში, ნარჩენები მაღალი სიმკვრივით გამოირჩევა - ერთი კუბური მეტრი ნარჩენი საშუალოდ 300-500 კილოგრამს იწონის;

3. **სატრანსპორტო პირობები** - გზების მდგომარეობა, მოძრაობის ინტენსივობა და განთავსების ადგილამდე მისასვლელი გზის მანძილი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, მოსახლეობის სიმჭიდროვის, რელიეფის, საავტომობილო გზების მდგომარეობისა და მოძრაობის ინტენსივობის განსხვავებული პირობების გათვალისწინებით, შესაძლებელია გამოყენებული იქნას შეგროვებული ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის სხვადასხვა ტექნიკა. შესაბამისად, ტექნიკის შერჩევის დროს გასათვალისწინებელ საკითხებს წარმოადგენს:

1. მომსახურების სავარაუდო დონე (სიხშირე და ა.შ.);
2. ნარჩენების შეგროვების პროცესში გამოსაყენებელი ადამიანური რესურსები (შრომითი დანახარჯები და სხვა);
3. ნარჩენების შეგროვების მარშუტების მახასიათებლები;
4. ბიუჯეტის შესაძლებლობები.

ასევე, მნიშვნელოვანია შეგროვების მეთოდისა და ტრანსპორტირების პროცესში გამოყენებული ტექნიკის განსაზღვრის შემდეგ, სერვისის მიწოდება განხორციელდეს შემუშავებული მარშუტებისა და შედგენილი გრაფიკების მკაცრი დაცვით.

6.2 ნარჩენების განთავსება

